პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 228 (19865) ◆ პარასკევი, 27 სექტემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ახალ წარმატებებს გისურვებთ

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეებს

გულითადად მივესალმებით ღირსშესანიშნავი თარიღის — საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეებს, და მათი სახით მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების მრავალმილიონიან აქტივს, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ყველა საზღვარგარეთელ მეგობარს.

საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო მოძრაობა სხვა ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, რომელიც დიდმა ოქტომბერმა შვა, წარმატებით ვითარდება ინტერნაციონალიზმის, მშვიდობის, ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ლენინური პრინციპების მტკიცე საფუძველზე. იგი აქტიურად უწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოებას, ხალხთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნას. ამ გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1925 წელს საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების შექმნა, რომელიც შემდეგ გადაიქცა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირად.

დღეს იგი მასობრივი ორგანიზაციაა, რომლის როლიც საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში განუხრელად იზრდება. მის საქმიანობას, რომელიც ასახავს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზმს, საბჭოთა ადამიანების მისწრაფებას მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვრონ სხვა ხალხებთან, ნიადაგ უჭერენ მხარს კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო.

ჩვენ დიდად ვაფასებთ საზღვარგარეთის მეგობრობის საზოგადოებათა, მილიონობით ჩვენი მეგობრის თავდადებულ და უანგარო მუშაობას, რომლებიც ხალხთა მასებს მართალ სიტყვას ეუბნებიან მისი მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკის შესახებ, ილვწიან საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის გაფართოებისათვის. მათ შეუძლიათ კვლავაც საბჭოთა საზოგადოებრიობის სრული გაგებისა და მხარდაჭერის იმედი იქონიონ.

რთულ და დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა პლანეტას რაკეტულ-ბირთვული ომის საშიშროება ემუქრება, საბჭოთა კავშირი გადაჭრით ილაშქრებს გამალებული შეიარაღებისა და მისი კოსმოსში გადატანის წინააღმდეგ, რასაც იმპერიალიზმი ახორციელებს, და ყოველ ღონეს ხმარობს რათა მოვლენების განვითარება მოაქციოს მშვიდობისა და პლანეტის ყველა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის კალაპოტში. ამის მიღწევა შეიძლება სახელმწიფოთა ურთიერთგაგებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის, ხალხთა ფართო და კეთილმოსურნე ურთიერთობის მეშვეობით.

ამავე მიზნებს ემსახურება თქვენი საპატიო მისიაც. ხალხების ისტორიის, კულტურის, ყოველდღიური ცხოვრების გაცნობა ხელს უწყობს უნდობლობისა და ეჭვის ბარიერების დაძლევას, რომლებსაც დაჟინებით ქმნიან რეაქციის ძალები, გზას უკვალავს თანამშრომლობასა და კეთილმეზობლობას.

მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებები მოწოდებული არიან კვლავაც განავითარონ და განამტკიცონ ურთიერთობა საზღვარგარეთის საზოგადოებრიობასთან, უფრო სრულად დააკმაყოფილონ მსოფლიოში მზარდი ინტერესი საბჭოთა ადამიანების შრომითი და სულიერი ცხოვრების, საბჭოთა კულტურისადმი, სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის, საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების სრულყოფისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობისადმი.

ვუსურვებთ კრების მონაწილეებს ახალ წარმატებებს მათს კეთილშობილურ საქმიანობაში მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საშემოდგომო საჭირნახულო

საშემოდგომო საჭირნახულო შრომაა გაჩაღებული მთელ საქართველოში, მთასა და ბარში, მინდვრად და ბაღ-ვენახებში, პლანტაციებსა და მეცხოველეობის ფერმებში. მეთერთმეტე ხუთწლედის მეხუთე წლის მოსავლის დაბინავება და პროდუქტების დამზადება მიმდინარეობს, ბეღლები ივსება მარცვლეულით, ფაბრიკებში ქართული ჩაი მზადდება, იკრიფება ქარვისფერი ყურძენი; ფერმებიდან ქალაქად მოდის ხორცი, რძე, კვერცხი; ზამთრისათვის საცავებში ინახება საუკეთესო ხარისხის ბოსტნეული, კარტოფილი, მალე დაიწყება ხილის ჩაწყობა; საფუძველი ეყრება პურეულის საგაისო მოსავალს — ითესება ხორბალი. ასე რომ, ახლა სოფლის მშრომელებს დიდი ჯაფა ადგათ, რათა, რაც წლეულს მოიწიეს, უკლებლივ დააბინაონ, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინონ. გერგილიანად იქცევიან ის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, სადაც საქვეყნო საქმეზე გული შესტკივათ, სადაც დიდ პასუხისმგებლობას გრძნობენ.

შემოდგომის დადგომისთანავე საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ამინდიც შეიცვალა, ზოგან გვალვა აწუხებთ, ზოგან — წვიმა. ასეთ დროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა უნარიან, ენერგიულ, ორგანიზატორულ მოქმედებას დიდი საქმის გაკეთება შეუძლია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ქალაქ ცელინოგრადში გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე თქვა, რომ „ახლა დადგა მოსავლისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი". ამ შემოდგომაზე მეთერთმეტე ხუთწლედის მეხუთე, დამამთავრებელი წლის მოსავლისათვის ბრძოლის მართლაც გადამწყვეტი ეტაპია. სამომავლო მარაგის შექმნისათვის, ახალი, მეთორმეტე ხუთწლედის კარგად დაწყებისათვის, რომელიც გვინდა გარდამტეხი გავხადოთ, რათა მეტი დინამიზმი მივანიჭოთ ეკონომიკის განვითარებას.

მოზღვავებულ სამუშაოთა გაძღოლა პარტიის სასოფლო რაიკომების, რაისაბჭოს აღმასკომების, აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების ორგანიზებულ, მოქნილ, უნარიან და საზრიან მოქმედებას მოითხოვს. მათ, რომ იტყვიან, ახლა დღე და ღამე მოსვენება არ უნდა ჰქონდეთ, რადგან მოწეულ მოსავალს უკლებლივ დაბინავება, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის მოსავლის საფუძვლის ჩაყრა, პირუტყვის წარმატებული გამოზამთრება უნდა. ეს ყველაფერი სწორედ მათზეა დამოკიდებული. მათ თავიანთი ენერგიული შრომით მაგალითი უნდა უჩვენონ სოფლის მშრომელებს, დარაზმონ ისინი იმისათვის, რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულდეს.

ამ ბოლო დროს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას. ეს ისე უნდა მოხდეს, რომ გავლენა არ მოახდინოს რაოდენობაზე. დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხის წილის მიხედვით ურიგოდ როდი აქვთ საქმე ხელვაჩაურის, ქედის, გულრიფშის, გუდაუთის, ვანის და სხვა რაიონების მეჩაიეებს, მაგრამ ამ მხრივ წლეულს ვერ დაიკვეხნიან ოჩამჩირის, გალის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, წულუკიძის, წალენჯიხის, სამტრედიისა და თერჯოლის რაიონების, ჭიათურისა და ტყიბულის ზონების მეჩაიეები. აქ ჩამოთვლილი რაიონებისა და ზონების მეჩაიეთა მიერ დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხის წილი 67-68 პროცენტია, ჭიათურის ზონაში — 63,5, წულუკიძის რაიონში — 63,5 პროცენტი. თუ ახლა, შემოდგომის წვიმების შემდეგ გადავხედავთ რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს ბოლო ცნობებს, დავინახავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები უმეტეს რაიონებში აგროვადებში და წესების დაცვით მიმდინარეობს, მაგრამ ზოგან ჩამორჩენაც არის. მარცვლეულის აღება მთლიანად არ არის დამთავრებული; უხეში საკვები შარშანდელთან შედარებით მეტი კია დამზადებული, მაგრამ წლევანდელი გეგმა შესრულებული მაინც არ არის. ანეულის ხვნისა და საშემოდგომო თესვის ტემპიც უნდა დაჩქარდეს. ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა კარგა ხანია შესრულდა, მაგრამ წლევანდელი დავალების შესრულება ჭირს. ფოთოლი კვლავ საკრეფია, მეჩაიეობის რაიონების

მოწინავეთა მხარდამხარ

მაღაროელები დაკვრელურ შახტზე

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგანან კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველოს მაღაროელები. იმ შახტებთან ერთად, რომლებიც უკვე მრავალი წელია მოქმედებენ, საწარმოო ტემპს იკრებს ახალი საბადოც — „უალხოხის" მაღარო. მწყობრში დგება ახალი სიმძლავრეები, მაღაროელთა დაბა შენდება და მშვენდება.

სურათებზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტი პავლე ნანიევი საყრილობო შრომითი ვახტის ერთ-ერთი ლიდერია; გამდიდრებული მადნის ნარჩენების ტრანსპორტირების მილსადენის ახალი ტრასა.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ვამრავლოთ სტახანოველთა ტრადიციები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სტახანოვური მოძრაობის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრასთან დაკავშირებულ უპირველეს ღო-

ქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, შრომითი კოლექტივების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ძირითადი ყურადღება დაუთმონ იმის საჭიროებას, რომ კიდევ უფრო განვითარდეს სოციალისტური შეჯიბრება, გაიზარდოს მშრომელთა

ლმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიას, ადგილობრივ საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებს წინადადება მიეცათ საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციაში მშრომელთა მზარდი როლის გათვალისწინებით შეუსაბამონ სო-

ის ხარისხის გაუმჯობესების, რესურსების დაზოგვის მნიშვნელოვან ბერკეტად. ბრიგადებს, უბნებს, საამქროებს, შრომითს კოლექტივებს შორის გაშლილი შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს განსაკუთრებით საჭიროა მკაცრად გავითვალისწინოთ წარმოებაში წესრიგისა და დისციპლინის დაცვისათვის მუშაობის მაჩვენებლები.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა უზრუნველყონ სტახანოვური მოძრაობის სახელოვანი ტრადიციების ფართო პროპა-

დავამკვიდროთ ფხიზელი ცხოვრების წესი

... ვალრიცხოვანი მისამართები. მოსკოვის, ლენინგრადის, კალუგის, კუიბიშევის, ტიუმენის, დნეპროპეტროვსკის ოლქების, ბურიატეთის ასს რესპუბლიკის, კრასნოიარსკის მხარის შრომითს კოლექტივებს საზოგადოებრიობის წინადადებით სოციალისტურ ვალდებულებებში, კოლექტიურ ...

კიდევ უფრო შეტევითი გახდა ანტიალკოჰოლური პროპაგანდა, გაიზარდა ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის, როგორც შრომითს კოლექტივებში, ისე საცხოვრებელ ადგილას დამრღვევებზე ადმინისტრაციულ-სამა-

(დასასრული მე-2 გვ.).

საბჭოთა საზოგადოებრიობა მშვიდობისათვის იბრძვის

26 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა საზოგადოებების საზეიმო კრება, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის 60 წლისთავს მიეძღვნა. კრებაში მონაწილეობდნენ მეგობრობის საბჭოთა ორგანიზაციების აქტივისტები, საბჭოთა კავშირთან მეგობრობის საზოგადოებათა ხელმძღვანელები და იმ სხვა საზღვარგარეთული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებთანაც კონტაქტები აქვს საზღვარგარეთთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირს.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა; სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა.

კრების მონაწილეებმა აღფრთოვანებით გაუგზავნეს წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

საქდესის ცნობა

კოსმონავტები ვლადიმერ ჯანიბეკოვი და გიორგი გრეჩკო დედამიწაზე დაბრუნდნენ

„სალუტ-7" ორბიტულ სამეცნიერო სადგურში დამთავრდა სამუშაოთა მორიგი ეტაპი.

1985 წლის 26 სექტემბერს მოსკოვის დროით 13 საათსა და 52 წუთზე ერთობლივი გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების დასახული პროგრამის შესრულების შემდეგ ვლადიმერ ჯანიბეკოვი და გიორგი გრეჩკო „სოიუზ ტ-13" ხომალდით დედამიწაზე დაბრუნდნენ. „სალუტ-7"—„სოიუზ ტ-14" პილოტირებულ კომპლექსში მუშაობას განაგრძობენ ვლადიმერ ვასიუტინი, ვიქტორ სავინიხი და ალექსანდრე ვოლკოვი.

„სოიუზ ტ-13" ხომალდის დასაშვები აპარატი დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დასავლეთ რაიონში 220 კილომეტრზე ქალაქ ჯეზყაზგანის ჩრდილო-აღმოსავლეთით. კოსმონავტები მიწაზე დაშვების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

დედამიწაზე ჩამოტანილია ვლადიმერ ჯანიბეკოვისა და ვიქტორ სავინიხის, აგრეთვე ხუთი კოსმონავტისაგან შედგენილი ეკიპაჟის მიერ ერთობლივი მუშაობის პერიოდში ხანგრძლივი ფრენის დროს შესრულებული გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების მასალები. მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების ინტერესებისათვის.

მეოთხე ხანგრძლივი ექსპედიცია „სალუტ-7" სადგურში დაიწყო 1985 წლის 8 ივნისს „სოიუზ ტ-13" ხომალდის ეკიპაჟის მიერ სადგურთან წარმატებით განხორციელებული შეპირაპირების შემდეგ. ხანგრძლივი ფრენის დროს ვლადიმერ ჯანიბეკოვმა და ვიქტორ სავინიხმა აღადგინეს სადგურის მუშაობისუნარიანობა, ამასთან გამოავლინეს მამაცობა და დიდი პროფესიული ოსტატობა.

კოსმონავტებმა შეასრულეს მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის ვრცელი პროგრამა, განახორციელეს ღია კოსმოსში გასვლა და დაამონტაჟეს დამატებითი მზის ბატარეები.

პირველად განხორციელდა ეკიპაჟის ნაწილობრივი შეცვლა, რაც უზრუნველყოფს პილოტირებული კოსმოსური კომპლექსის განუწყვეტელ ექსპლოატაციას ხანგრძლივი დროის განმავლობაში და არსებითად ზრდის მისი გამოყენების ეფექტიანობას მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

საგულისხმო გამარჯვება

საქართველოს ენერგეტიკული სისტემის ძირითადი თბოელექტროსადგურის — თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის კოლექტივმა მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმა აგვისტოში შეასრულა. ეს, მართლაც საგულისხმო გამარჯვებაა.

ამჟამად აქაური მშრომელები ემზადებიან ღირსეული საჩუქარი მოუმზადონ სკკპ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას. თბოელექტროსადგურის კოლექტივმა კვლავ გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და ივალდებულა შიდა რეზერვების სრულად გამოყენების ხარჯზე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით საქართველოს კომუნისტთა დიდი ფორუმის დაწყებამდე დარჩენილ დროში მომხმარებელს 3 მილიარდ 200 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მიაწოდოს. ეს ოდენობა თითქმის ენგურჰესის 1984 წლის მთლიანი გამომუშავების ტოლია.

საქართველოს ენერგეტიკის ფლაგმანი — თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური აღორძინების სტადიაშია. მომავალი წლიდან დაიწყება სადგურის გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები. მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი ენერგეტიკული ბლოკები შეიცვლება ახალი, თანამედროვე, უფრო მძლავრი დიდეფექტიანი ენერგობლოკებით, ეს კი ელექტროსადგურში მნიშვნელოვნად დააჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელებას.

ლ. ქინქლაძე.

დღეს ნომერშია:

● „კომუნისტის" რეიდი — ყველა საქმეს შიდაგი ამშვენებს. ახლა თელავის ბაზარს ვესტუმროთ. (მე-2 გვ.).

● დიდი ზრუნვა, პატივისცემა — სიახლე მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფაში. (მე-3 გვ.).

● საერთაშორისო ცხოვრების ამბები. (მე-3 გვ.).

● მუსიკა და ცხოვრება. „მუზები არ დუმდნენ" და „ნატვრის აცხადება". (მე-4 გვ.).

● ფერთა ზეიმი — საგამოფენო დარბაზებში. (მე-4 გვ.).

დავამკვიდროთ ფხიზელი ცხოვრების წესი

(დასასრული)

შექმნილი საზოგადოების ღირსეულ წვლილს შეიტანს ფხიზელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, ქვეყნის წინაშე მდგომი დიდი და პასუხსაგები სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

* * *

იმავე დღეს გაიმართა სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც აირჩიეს ცენტრალური საბჭოს გამგეობა. მის თავმჯდომარედ არჩეულია აკადემიკოსი ი. ა. ოვჩინიკოვი.

(საქდეს).

ყველა საქმეს შედეგი ამშვენებს

„კომუნისტის" რეიდი

თელავის ბაზარი სიუხვით არის განთქმული. აქ ძირითადად სავაჭროდ ის მოდის, ვისაც საკუთარი გარჯის ნაყოფი მოაქვს. მაგრამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, თავი იჩინა ნეგატიურმა მოვლენამ — ბაზარში გაჩნდა პარაზიტული ელემენტი —სპეკულანტი, თან ისე მომძლავრდა, რომ თითქმის განდევნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითადი მწარმოებელი.

...

თელავის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების იურისკონსულტი; შ. ანდრიაშვილი — თელავის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი; დ. გერგიშვილი — გაზეთ „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

სასურსათო პროგრამა მოქმედებს

მარტყოფული ბოცვრები

გარდაბნის რაიონის მარტყოფის მებოცვრეობის კომპლექსი ხორცით განუწყვეტლივ ამარაგებს თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ქსელსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებს. მარტო წლეულს მებოცვრეები მომხმარებელს გაუგზავნიან სამი ათას ცენტნერ ხორცს — გეგმაზე 200 ცენტნერით მეტს.

ახლა ფერმებში უვლიან პროდუქტიული ჯიშის 24 ათასზე მეტ ბოცვერს, როგორიცაა „თეთრი გოლიათი", „პეპელა", „საბჭოთა შინშილა" და სხვა.

სურათებზე: კომპლექსის ერთ-ერთი ფერმა; მარტყოფელ მებოცვრეთა ბრიგადირი ნანა ჩაჩანიძე.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის მახარაძისა და ყვარლის რაიკომები

19 ივლისს დაიბეჭდა მოწინავე წერილი „იდეოლოგიურ მუშაობას — სისტემატური პარტიული ხელმძღვანელობა". პარტიის მახა-...

...

„კომუნისტს" უპასუხებენ

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ქარხანა დაძლევს არსებულ ჩამორჩენას და წლის ბოლოსათვის უზრუნველყოფს საერთო წლიური გეგმის უთუო შესრულებას.

• • •

პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მოლაშვილმა გვიპასუხა, რომ მოწინავე წერილში „იდეოლოგიურ მუშაობას — სისტემატური პარტიული ხელმძღვანელობა" სწორად იყო გაკრიტიკებული ყვარლის რაიონიც იმისათვის, რომ რაიონის პარტიუ-...

გეგმა, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყება მიმდინარე წლის IV კვარტალში.

პარტიის რაიონული კომიტეტი მეტ ყურადღებას დაუთმობს ლექციური პროპაგანდის საკითხებს და ყოველ ღონეს იხმარს მისი შემდგომი სრულყოფისათვის.

საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომი

...

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

1985 წლის 27 სექტემბერი № 236 ქ. მოსკოვი

1985 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომლებმაც გაიარეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის დადგენილი ვადა, და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევის შესახებ

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ვბრძანებ:

...

რო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნენ 1985 წლის ოქტომბერ-დეკემბერ-...

დიდი ზრუნვა, პატივისცემა

სიახლე მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფაში

როგორც ცნობილია, პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ვრცელი და მრავალმხრივი პროგრამა. გაიდიდა მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური პენსიები და პენსიის დანამატი უწყვეტი სტაჟისათვის, გაიზარდა I და II ჯგუფის ომის ინვალიდთა პენსიები, აგრეთვე დახმარება ბავშვებიანი ოჯახებისა და მარტოხელა ქალებისადმი.

ქვეყნის მასშტაბით 1985 წელს სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის საჭიროებისათვის გამოიყოფა 57 მილიარდ მანეთზე მეტი, აქედან 42 მილიარდ მანეთზე მეტი საპენსიო უზრუნველყოფისათვის, რაც 20 პროცენტით აღემატება ამ დანიშნულებით 1980 წელს დახარჯულ თანხებს.

შრომისა და ომის ვეტერანებზე პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს მიმდინარე წლის 14 მაისის დადგენილება „ხელმოკლე პენსიონერებისა და ოჯახების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მარტოხელა მოქალაქეთათვის ზრუნვის გაძლიერების უპირველეს ღონისძიებათა შესახებ".

ამ დადგენილების საფუძველზე მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან წლის წინათ, მაშინ შესაბამისად 20-25 პროცენტით.

მაგალითად, თუ მოქალაქეს პენსია დანიშნული ჰქონდა 10 წლის წინათ 100 მანეთის საშუალო თვიური გამომუშავებიდან 50 მანეთის ოდენობით, მისი პენსია გაიზრდება 10 მანეთით (100 მანეთის 10 პროცენტით), ხოლო თუ პენსია დანიშნული იყო 20 წლის წინათ, მაშინ 20 მანეთით გაიზრდება.

თუ 10 და მეტი წლის წინათ დანიშნული პენსია პროცენტულ დანამატებთან ერთად ვერ მიაღწევს პენსიის მინიმალურ ოდენობას, ასეთ შემთხვევაში პენსიონერს მოხუცებულობის სახელმწიფო პენსია გაუდიდდება თვეში 55 მანეთამდე.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით 60 მანეთამდე ოდენობით ადრე დანიშნული პენსიები საშუალოდ, სულ ცოტა, 11 მანეთით გადიდდება.

ასე რომ, ბევრი პენსიონერი მნიშვნელოვან დამატებას მიიღებს.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან გადაანგარიშებული პენსიები ყოველი შემდგომი სრული ორი წლის შემდეგ კვლავ გადაანგარიშდება და გადიდდება საშუალო ხელფასის 2 პროცენტით. ამრიგად, შემოღებულია ადრე დანიშნული პენსიების გაზრდის სისტემა, როგორც მუდმივმოქმედი ნორმა, რაც უზრუნველყოფს ვე-ლი (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს უფლება ეძლევათ მარტოხელა გაჭირვებულ მუშებს, მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს დაუნიშნონ პენსიის დამატება რომლის ოდენობა განისაზღვრება პერსონალურად პენსიონერთა მატერიალური მდგომარეობის მიხედვით. ოღონდ დანამატი დაერიცხება ისეთი ოდენობით, რომ პენსიასთან ერთად არ აღემატებოდეს თვეში 50 მანეთს. ასე რომ, უახლოეს პერიოდში ყველა, ვისაც სახელმწიფო პენსია აქვს დანიშნული, პენსიას და დანამატს საერთო ჯამში მიიღებს არანაკლებ 50 მანეთის ოდენობით;

მარტოხელა მოქალაქეებს, რომლებსაც სტაჟის უქონლობისა თუ სხვა მიზეზთა გამო პენსია არ ეძლევათ, 30 მანეთამდე გაეზრდებათ ყოველთვიური დახმარება.

1985 წლის 1 ნოემბრიდან მუშა-მოსამსახურე და კოლმეურნე პენსიონერებს, რომლებიც პენსიას მინიმალური ოდენობით იღებენ, ექიმის რეცეპტით გამოწერილი წამლები მიეცემათ ღირებულების 50 პროცენტის ფასდაკლებით;

დასახულია მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების ქსელის გაფართოების ღონისძიებანი. მომავალ ხუთწლედში ახალი ინტერნატები აშენდება 75 ათასი კაცისათვის, მათ შორის 1200 კაცისათვის საქართველოში.

ამას გარდა, ახალი დადგენილება ითვალისწინებს სახლ-ინტერნატებში ცხოვრების პირობების, სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ არსებით გაუმჯობესებას. 1985 წლის 1 ნოემბრიდან 20 პროცენტით იზრდება კვების, მედიკამენტებისა და სხვა საჭიროებათა ხარჯების ნორმები მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში.

დადგენილება ითვალისწინებს საწარმოო-გაერთიანებების პროფკავშირული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მხრივ მარტოხელა მოხუცებულებისა და შრომისუუნარო მოქალაქეებისადმი საშეფო დახმარების გაძლიერებას.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაევალათ უზრუნველყონ მარტოხელა შრომისუუნარო და მოხუცებულ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებსაც განსაკუთრებით სჭირდებათ დახმარება და მოაწყონ მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

გათვალისწინებულია მეთორმეტე ხუთწლედში განხორციელდეს ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებანი, კერძოდ:

ნაკლებუზრუნველყოფილ ოჯახებს დახმარება მიეცემათ, სანამ ბავშვი 12 წლის ასაკს მიაღწევდეს;

ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის ფასიანი შვებულების ხანგრძლივობა გაიზრდება 14 დღემდე და დამატებითი დღეები აუნაზღაურდება ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით;

ერთიორად გაუდიდდებათ ბავშვებისადმი დახმარება ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ცოლებს;

ქვრივებზე, რომლებსაც ჰყავთ შვილები, მაგრამ არ იღებენ პენსიას მარჩენალის დაკარგვის გამო, გავრცელდება მარტოხელა დედებისათვის დადგენილი დახმარების უფლება.

ამრიგად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 14 მაისის დადგენილება, რომელიც ხელმოკლე პენსიონერებისა და ოჯახების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მარტოხელა მოქალაქეებზე ზრუნვის გაძლიერების კომპლექსურ ღონისძიებებს სახავს, უდიდესი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის დოკუმენტია. საკმარისია ითქვას, რომ დასახულ ღონისძიებათა კომპლექსი მარტო საპენსიო საკითხებში 14 მილიონზე მეტ, მთლიანად კი 42 მილიონ საბჭოთა ადამიანს შეეხება.

საკოლმეურნეო პენსიები გაუდიდდებათ მათ, ვინც მას ღებულობს მინიმალური ოდენობით. დაბალი გამომუშავების გამო წინა წლებში კოლმეურნეთა დიდ ნაწილს პენსიები სწორედ ასეთი — მინიმალური ოდენობით ენიშნებოდათ. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ ღონისძიების მასშტაბის შესახებ, მივუთითებთ, რომ მარტო ჩვენს რესპუბლიკაში აღნიშნული ღონისძიება შეეხება 80 ათასზე მეტ საკოლმეურნეო პენსიის მიმღებს, ხოლო ქვეყნის მასშტაბით 6 მილიონამდე კოლმეურნე პენსიონერს:

საკოლმეურნეო მინიმალური პენსიები გადიდდება:

მოხუცებულობისა — 28 მანეთიდან 40 მანეთამდე თვეში;

ინვალიდობისა — I ჯგუფის — 45-დან 60 მანეთამდე; II ჯგუფის — 28-დან 40-მდე; III ჯგუფის — 16-დან 20 მანეთამდე.

მარჩენალის დაკარგვის გამო: ოჯახის 3 შრომისუუნარო წევრზე 45-დან 60 მანეთამდე; ოჯახის 2 წევრზე — 28-დან 45 მანეთამდე; ოჯახის 1 წევრზე — 20-დან 25 მანეთამდე.

მარტო მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში ქვეყნის მასშტაბით ამ დანიშნულებით დამატებით დაიხარჯება 130 მილიონი მანეთი ერთ წელზე გადაანგარიშებით — 800 მილიონ მანეთზე მეტი.

წელს 1 ნოემბრიდან პენსია გაუდიდდებათ აგრეთვე იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებსაც იგი დანიშნული აქვთ 60 მანეთამდე ოდენობით 10 წლის ან მეტი ხნის წინათ. ამ ღონისძიებას დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. მისი განხორციელების შედეგად ადრე დანიშნული პენსიების ოდენობა მიუახლოვდება იმ პენსიების დონეს, ამჟამად რომ ენიშნებათ მსგავსი პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშაკებს.

ათი წლის წინათ და უფრო ადრე 60 მანეთამდე ოდენობით დანიშნული პენსიები გაიზრდება პენსიაზე ყოფნის ყოველი სრული წლისათვის იმ საშუალო თვიური გამომუშავების 1 პროცენტით, საიდანაც პენსიის ძირითადი ოდენობა იყო გამოანგარიშებული. ე. ი. თუ 60 მანეთის ან ნაკლები ოდენობის პენსია დანიშნულია 10 წლის წინათ, იგი გადიდდება საშუალო თვიური გამომუშავების 10 პროცენტით, ხოლო თუ 20-25 ტერანთა მატერიალური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესებას.

საგულისხმოა, რომ გადაანგარიშება შეეხება როგორც მოხუცებულობის, ისე I და II ჯგუფის ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო დანიშნულ სახელმწიფო პენსიებს. მოხუცებულობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო (ოჯახის ორ და მეტ შრომისუუნარო წევრზე) 10 წლის წინათ და უფრო ადრე დანიშნული 60 მანეთამდე ოდენობის პენსიები გადიდდება საშუალო თვიური ხელფასის 1 პროცენტით, ხოლო ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე დანიშნული პენსია გაიზრდება 0,5 პროცენტით პენსიის დანიშვნიდან გასულ წელთა რაოდენობის შესაბამისად.

გადაანგარიშებასა და გადიდებას არ ექვემდებარება მხოლოდ III ჯგუფის ინვალიდთა პენსია, რადგანაც ისინი, როგორც წესი, უნდა მუშაობდნენ.

საგულისხმოა, რომ ცალკეულ შემთხვევებში პენსიები გაუდიდდებათ იმ მოქალაქეებს, რომელთაც იგი დანიშნული აქვთ 10 და მეტი წლის წინათ 60 მანეთის ოდენობის ზევითაც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მათთვის დანიშნული პენსიის ოდენობა ვერ აღწევს ამავე პერიოდში 120 მანეთის საშუალო თვიური გამომუშავებიდან დანიშნული და ახლად გადაანგარიშებული პენსიის ოდენობას.

კერძოდ, რომელი სახისა და ოდენობის პენსიები გაიზრდება, ამის შესახებ რაიონულ (საქალაქო) სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს აქვთ მიცემული სახელმძღვანელო მითითებანი და მოქალაქეებს ამ საკითხზე იქ შეუძლიათ მიიღონ ზუსტი პასუხი.

წინასწარი მონაცემებით, პენსიების გადიდება ჩვენს რესპუბლიკაში შეეხება 130 ათასამდე ვეტერანს რომლებიც ერთ წელზე გაანგარიშებით დამატებით მიიღებენ 15—16 მილიონ მანეთს, ხოლო ქვეყნის მასშტაბით კი შვიდ მილიონ-ნახევარზე მეტ მოქალაქეს ერთ წელზე გადაანგარიშებით პენსია გაუდიდდება მილიარდი მანეთით.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, დადგენილება ითვალისწინებს ხელმოკლე პენსიონერებისა და ოჯახების მატერიალური პირობების გაუმჯობესების მრავალ ღონისძიებას. სახელდობრ:

სახალხო დეპუტატთა რაიონუ-

ამ ასეთი გრანდიოზული ამოცანებია დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ახალი დადგენილებით.

პ. გარდაფხაძე,
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

26 სექტემბერი ● საკდესი იუწყება

მხარს უჭერენ საბჭოთა საგარეო-პოლიტიკურ პროგრამას

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულ საგარეო-პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვეობის საკვანძო პრობლემების გადაჭრას, ფართოდ უჭერენ მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიაზე. ამასთან დელეგატები აღნიშნავენ, თუ რაოდენ სახიფათოა იმპერიალიზმის ძალების კურსი, რომლებიც კვლავ აძლიერებენ დაძაბულობას მსოფლიოში, ხელს უწყობენ რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებას.

სსრ კავშირის ნება და მზადყოფნა, რომ მთელი მეცადინეობა მოახმაროს ახალი მსოფლიო კონფლიქტის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტასა და მის კოსმოსში გაუვრცელებლობას ცხადია, განაცხადა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. მალმიერკამ. საბჭოთა ხელმძღვანელობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბულობის შენელებისათვის. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკა შეესაბამება მსოფლიოს ყველა ხალხის იმედებსა და მისწრაფებებს.

ი. მალმიერკამ აღნიშნა, რომ იმპერიალისტური წრეების, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით მსოფლიოში შეიქმნა დაძაბული სიტუაცია. განსაკუთრებულ საშიშროებას, თქვა მან, წარმოადგენს გამალებული შეიარაღება, რომელსაც აძლიერებს სამხედრო უპირატესობას გამოდევნებული ვაშინგტონი, მათ შორის კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმები, რაც საფრთხეს უქმნის თვით კაცობრიობის არსებობას. იმპერიალიზმის პოლიტიკას ახასიათებს ძალის გამოყენება ან მისი გამოყენების მუქარა, ინტერვენციები, აგრესია, პოლიტიკური და ეკონომიკური შანტაჟი, განვითარებადი ქვეყნების ხალხთა ძარცვა.

მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. სეპულვედამ აღნიშნა, რომ უაღრესად საჭიროა შეწყდეს გამალებული შეიარაღების უაზრო ესკალაცია ყველა ხალხის ინტერესებისათვის.

თანამედროვე განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უწოდა მექსიკის დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის ინიციატივის 25 წლის წინათ მიღებულ ისტორიულ დეკლარაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

თავის გამოსვლაში მოზამბიკის პრეზიდენტმა ს. მაშელმა თქვა, რომ უნდა გაუქმდეს აპარტეიდის სამარცხვინო სისტემა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ვინაიდან ასეთი სისტემა დანაშაულია აფრიკის ქვეყნების ხალხებისა და მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ. მან აგრეთვე მოითხოვა რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი იმის თაობაზე, რომ დამოუკიდებლობა მიენიჭოს რასისტების მიერ ოკუპირებულ ნამიბიას და ეს საკითხი არანაირად არ დაუკავშირონ სხვა პრობლემებს, რასაც, როგორც ცნობილია, დაჟინებით ითხოვენ დასავლეთის ქვეყნები და პრეტორიის რეჟიმი.

სიტყვით მხარი დაუჭირა რა ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკების მიზნებს — გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებას კოსმოსში და მის შეწყვეტას დედამიწაზე — დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრს ჯ. ჰაუს არ წამოუყენებია არანაირი რეალისტური წინადადება განიარაღების საკითხზე. საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლებს არ მოუსმენიათ ნატოს მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციების მეთაურების — იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯ. ანდრეოტის, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯ. კლარკის, ნიდერლანდის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰ. ვანდენ ბრუკის მიერ წამოყენებული სერიოზული კონსტრუქციული წინადადებანი თანამედროვეობის ძირითადი პრობლემების გადაჭრის თაობაზე.

სხდომაზე აგრეთვე გამოვიდნენ ეგვიპტის პრეზიდენტი ჰ. მუბარაქი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ სიძნელეებს, რაც მათი მიზეზით არ წარმოქმნილა, კოსტა-რიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. გუტიერესი, კუვეიტის საგარეო საქმეთა მინისტრი იოსეფ ბინ ალავი ბინ აბდულა.

ამერიკელ მეზღვაურთა ხულიგნური გამოხდომა

ჰავანა. როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იტყობინება, ამერიკელ მეზღვაურთა ჯგუფი ურუგვაის დედაქალაქში თავს დაესხა საბჭოთა პავილიონს აქ გახსნილ მე-8 საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე. თავდამსხმელები ცდილობდნენ მოეტეხათ ფარი წარწერით „სსრ კავშირი", დაეხიათ საბჭოთა დროშა, დაეზიანებინათ სტენდებზე გამოფენილი წიგნები. ამერიკელი მეზღვაურები შეეცადნენ თავს დასხმოდნენ ბაზრობის ერთ-ერთ თანამშრომელ ქალს, რასაც იგი გადაურჩა მხოლოდ პავილიონში მყოფ დამთვალიერებელთა წყალობით. მოხულიგნე ამერიკელთა ანტისაბჭოურმა გამოხდომამ აღაშფოთა ურუგვაის საზოგადოებრიობა.

ადნ-ის სააგენტოს ცნობა

ბერლინი. ადნ-ის სააგენტოს ცნობით, ამა წლის 23 სექტემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ავიაციის ორმა ვერტმფრენმა დაარღვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე რუგენის კუნძულის ჩრდილოეთით. საზღვრის დამრღვევნი მიუახლოვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში მყოფ სანაპირო დაცვის ხომალდს.

ამგვარი მოქმედება, ნათქვამია ცნობაში, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა და ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარების ფუძემდებელ პრინციპებს.

მექსიკა მიწისძვრის შემდეგ

მეხიკო. მექსიკის დედაქალაქსა და ქვეყნის ზოგიერთ სხვა ქალაქში მომხდარი ორი უძლიერესი მიწისძვრიდან გასული ერთი კვირის შემდეგ გრძელდება სამუშაოები შენობათა ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების გადასარჩენად, ქუჩები იწმინდება ხერგილებისაგან. არასრული ოფიციალური მონაცემებით, სტიქიური უბედურების შედეგად დაიღუპა 4.500-ზე მეტი კაცი. დაშავებულთა რიცხვი 8 ათასს აღემატება. გარდა ამისა, მეხიკოს სულ ცოტა 1.500 მცხოვრები ჯერ კიდევ ცოცხლად არის დამარხული სახლების ნანგრევებში. 19 და 20 სექტემბრის მიწისძვრამ ბიძგებმა მთლიანად დაანგრიეს დაახლოებით 400 შენობა. 50 ნაგებობა შეიძლება ყოველ წუთს დაინგრეს, კიდევ 700-ზე მეტი სერიოზულად დაზიანდა. უსახლკაროდ დარჩა 30 ათასი კაცი.

მექსიკის პრეზიდენტმა მიგელ დე ლა მადრიდმა საერთაშორისო გაერთიანებას მოუწოდა „ჭეროვანი გაგებით მოეკიდოს ქვეყანაში შექმნილ დიდ სიძნელეებს" და საჭირო დახმარება გაუწიოს ტრაგედიის მძიმე შედეგების დასაძლევად. სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ კიდევ დიდი მუშაობაა გასაწევი ხალხის გადასარჩენად, სიცოცხლისათვის საშიში ძლიერ დაზიანებული შენობებისა და სხვა ნაგებობათა ლიკვიდაციისათვის, საარსებო მნიშვნელობის კომუნალური სამსახურების აღდგენისათვის. მან თქვა, რომ ამისათვის მექსიკელებმა მთელი თავიანთი ძალები უნდა დარაზმონ. გარდა ამისა, აღნიშნა პრეზიდენტმა, ამ სტიქიური უბედურების შედეგად კიდევ უფრო გამწვავდება ის სერიოზული ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებსაც მექსიკა განიცდის. მ. დე ლა მადრიდის აზრით, კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციას რამდენიმე წელი დასჭირდება.

ფოტოინფორმაცია

● **ინგლისი**

ლონდონი. „ძირს ფაშისტური ხუნტა", „შეწყვიტეთ თვითნებობა და ძალადობა" — ასეთი ლოზუნგებით მოაწყვეს აქ ჩილელმა დემოკრატებმა, სამშობლოდან ლტოლვილებმა, ჩილეს საელჩოს მახლობლად პიკეტირება. მეპიკეტეთა რიგებში იყვნენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ბრიტანეთის პარლამენტის წევრები. პარლამენტართა ჯგუფი ამაოდ ცდილობდა გამოეძახა საელჩოს წარმომადგენლები და გადაეცა წერილი, რომელშიც აღშფოთებას გამოთქვამენ ხუნტის მიერ ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვის გამო და მოითხოვენ შეწყვიტონ მკვლელობანი და წამება.

სურათზე: მეპიკეტეები ჩილეს საელჩოს წინ.
ს. ნიკიშოვის ტელეფოტო. (საკდესი).

ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელეს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელეს საბჭოთა მთავრობის 21 სექტემბრის განცხადების ტექსტი ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის ბარბაროსულ აგრესიასთან დაკავშირებით. განცხადებაში გადაჭრით გმობენ დანაშაულებრივ აგრესიას და მოითხოვენ დაუყოვნებლივ და მთლიანად შეწყდეს მტრული მოქმედება ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

განიხილეს აქტუალური საკითხები

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბელგრადი. აქ გაიმართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა და დასახა იუგოსლავიის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის სისტემის სრულყოფის ღონისძიებანი „ეკონომიკური სტაბილიზაციის გრძელვადიანი პროგრამის" შესაბამისად.

მოხსენებაში, რომელიც პლენუმზე გააკეთა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა პ. მატიჩმა, აღნიშნულია, რომ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში მიღწევებთან ერთად ბოლო წლებში ამ დარგის სერიოზული ნაკლოვანებანიც შეინიშნება. მათ გამოიწვიეს სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსების დეფიციტი, ქვეყნის საგარეო გადახდისუუნარიანობის პრობლემების გამწვავება.

როგორც მოხსენებაში აღინიშნა, ვითარება განსაკუთრებით გართულდა იმის შედეგად, რომ განვითარებულმა კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა განახორციელეს სხვადასხვა შემზღუდველი ღონისძიებანი ვაჭრობაში, რაც მძიმე ტვირთად დააწვა განვითარებად ქვეყნებს. საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს იუგოსლავიის ცალკეულ რესპუბლიკებს შორის არსებული უთანხმოებანი ზოგიერთი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების გამო. როგორც მომხსენებელმა თქვა, ასეთი უთანხმოება ხელს უშლის იმ ღონისძიებათა შემუშავებას, რომელთა მიზანია ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ეფექტიანი განვითარება.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ, თუ არ მოხდა საჭირო ცვლილებები ეკონომიკაში, ხარისხიანად არ წარმართავენ მეურნეობრიობას და არ დაეყრდნობიან საკუთარ ძალებს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პოლიტიკისა და სტაბილიზაციის პროგრამის შესაბამისად, ძნელი იქნება უფრო დინამიკური საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების მიღწევა. კომუნისტთა კავშირი ვალდებულია მიაღწიოს დასახული ამოცანების შესრულებას.

● **ინდოეთი**

დაინიშნა ახალი მინისტრები

დელი. პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ მოახდინა მთავრობის რეორგანიზაცია.

როგორც იუნის სააგენტო იუწყება, ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ბარლამ ბჰაგატი. წინათ ეს პოსტი თვით რ. რ. განდის ეკავა. შეიქმნა ორი ახალი სამინისტრო — ადამიანთა რესურსებისა და სამთავრობო პროგრამების შესრულების სამინისტროები. მათ სათავეში ჩაუდგნენ შესაბამისად — პ. ვ. ნარასიმჰა რაო, რომელსაც მანამდე თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა, და ა. გ. ჩოუდჰური, რომელიც თავის დროზე რკინიგზის ტრანსპორტის მინისტრი იყო. თავდაცვის მინისტრის მოვალეობა იკისრა რ. განდიმ. დაინიშნა არსებული დარგობრივი სამინისტროების რამდენიმე ახალი მეთაური, აგრეთვე ათი ახალი სახელმწიფო მინისტრი.

● **ნიკარაგუა**

მთავრობის გადაწყვეტილება

მანაგუა. ნიკარაგუის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გააიაფოს სურსათი და პირველი საჭიროების საქონელი, რომლებსაც მშრომელებში ანაწილებენ რევოლუციის დაცვის სანდინისტური კომიტეტები და მუშათა კომისიები.

ეს ნაბიჯი გადადგეს მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულ ფინანსურ-ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის რესპუბლიკა შეერთებული შტატების მხრივ სამხედრო და ეკონომიკური აგრესიის შედეგად. რევოლუციური მთავრობა აგრეთვე ეძებს საშუალებებს, რათა თანდათან გაუზარდოს ხელფასი მუშებს. ხელისუფალნი მტკიცე ბრძოლას ეწევიან სპეკულანტებისა და ფართო მოხმარების საქონლის გადამმალავების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერჯერობით საკმაოდ არიან ქვეყანაში. ამერიკის აგრესიის გამო სანდინისტური მთავრობა იძულებულია მნიშვნელოვანი სახსრები მოახმაროს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას მათ შორის ზოგიერთი სოციალური პროგრამის შემცირების გზით. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში უწინდებურად მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ღატაკთათვის, აგებენ ახალ სკოლებს, სამედიცინო ცენტრებს.

● **აშშ**

ძალად „მხსნელები"

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულმა წრეებმა გადადგეს მორიგი ნაბიჯი, რომლის მიზანია აფრიკის ხალხთა საქმეში ამერიკის ჩარევის გაფართოება.

როგორც პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა ეგრეთ წოდებული „აფრიკის ხსნის კომიტეტი". მისი დამაარსებელი გახდა ულტრამემარჯვენე მოღვაწე გ. ფილიპსი, რომელიც ამავე დროს სათავეში უდგას ლობისტურ ორგანიზაციას „კონსერვატიულ ფრაქციას". მის ზურგსუკან დგანან ამერიკის მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები და ყველა ჯურის რეაქციონერები, რომლებიც ფარავენ თავიანთ განზრახვას ხელი აფათურონ აფრიკის კონტინენტის ბუნებრივ სიმდიდრეთა საკუთნაოებში.

ფილიპსის განცხადებებიდან ჩანს, რომ ყბადაღებული „კომიტეტის" ერთ-ერთი მთავარი მიზანია უფრო ფართოდ დაუჭიროს მხარი კონტრრევოლუციურ ტერორისტულ ბანდებს, რომლებიც ახორციელებენ დივერსიულ გამოხდომებს ანგოლის, მოზამბიკისა და კონტინენტის სხვა სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ, უარს რომ ამბობენ დამორჩილდნენ ვაშინგტონის დიქტატს.

მეორე მიზანი კი ის არის, რომ რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ სამხრეთ აფრიკაში იმპერიალიზმის ბურჯი — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აპარტეიდის რეჟიმი, რომელსაც ახლა არყევს პატრიოტების დარტყმები. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" მოწმობს, სწორედ ამიტომაც გააჩაღა „კომიტეტმა" აქტიური კამპანია, რათა კიდევ უფრო არ გაძლიერდეს პრეტორიის რეჟიმის საერთაშორისო იზოლაცია.

როგორც აქ აღნიშნავენ, პირწავარდნილი რეაქციის აფრიკის საწინააღმდეგო „ინიციატივა" ხორციელდება რეიგანის ადმინისტრაციის ლოცვა-კურთხევით და არსებითად მოწოდებულია შეავსოს მისი ძირგამომთხრელი საქმიანობა ამ კონტინენტზე. ეს აღნიშნა, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის მუდმივმა მეთვალყურემ ნეო მნუმზანამ. „ჩვენს კონტინენტს არ სჭირდება ასეთი „მხსნელები", — ხაზი გაუსვა მან საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. — „აფრიკის ხსნის კომიტეტის" შექმნასთან დაკავშირებული მთელი ეს წამოწყება მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელი არ აუღია ანგოლის, მოზამბიკისა და სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის გაფართოების, რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოველმხრივი გაძლიერების „კურსზე".

● **იტალია**

რომის პროცესზე

რომი. რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურზე იოანე-პავლე მეორეზე თავდასხმის საქმის პროცესზე გრძელდება თურქული იატაკქვეშა ნეოფაშისტური დაჯგუფების „რუხი მგლების" ერთ-ერთი ხელმძღვანელის ა. ჩათლის დაკითხვა. დაკითხვის, აგრეთვე თურქ ტერორისტ აღჯასთან ჩათლის პირისპირ წაყენების დროს გამოვლინდა აღჯას მთელი რიგი წინანდელი ჩვენებების სიყალბე. ჩათლიმ კატეგორიულად განაცხადა უარი დაედასტურებინა აღჯას მტკიცებანი, თითქოს მას სცოდნოდეს, რომ მზადდებოდა მკვლელობის ცდა და ამ საქმეში გარეული ყოფილიყვნენ ბულგარელი მოქალაქენი. „ეს ყველაფერი, — თქვა მან, — სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს დიდი სიცრუეა". არსებითი წინააღმდეგობანი გამოვლინდა ჩათლისა და აღჯას ჩვენებებში საქმის ბევრ სხვა დეტალზეც.

იტალიის პრესა სასამართლოს განახლებული სხდომების განმარტებისას ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ყბადაღებულმა „ბულგარეთის ვერსიამ" ახალი მძიმე დარტყმები განიცადა, ჩათლის მხილების შემდეგ, რომელმაც სასამართლოს მოუთხრო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპეცსამსახურების ცდების შესახებ, ფულის მეშვეობით ეიძულებინათ თურქი ტერორისტი ო. ჩელიქი, რომ დაედასტურებინა სოციალისტური ქვეყნებისა და მათი მოქალაქეებისათვის წაყენებულ ბრალდებათა „უტყუარობა", წერს გაზეთი „პაეზე სერა", ჩნდება სხვა ფაქტებიც, რომლებიც მოწმობენ აქტიურ ფალსიფიკაციას დასავლეთის საიდუმლო სამსახურები რომ მიმართავენ წმინდა პეტრეს მოედანზე მომხდარი თავდასხმის საქმეში. ახალი მხილებების ფონზე, აღნიშნავს ყოველკვირეული „ესპრესო", სულ უფრო ძლიერდება ეჭვი, რომ ამ საქმესთან ბულგარეთის „თანაზიარობა" ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურებმა გამოიგონეს. მათ მოიშველიეს „თავიანთი" ხალხი იტალიის დაზვერვაში აღჯას „დასამუშავებლად". ამის დასტურად ჟურნალს მოჰყავს მრავალრიცხოვანი ფაქტები — დაწყებული იტალიის სპეცსამსახურთა აგენტების საიდუმლო ვიზიტებით საპატიმროში, სადაც აღჯა იმყოფებოდა, და დამთავრებული თურქი ტერორისტის წერილით ამერიკის შეერთებული შტატების რომის საელჩოსადმი, სადაც, კერძოდ, ნათქვამია: „თქვენ მე მითხარით „დაიწყეო" და მეც დავიწყე ლაპარაკი". „ესპრესო" ხაზს უსვამს, რომ „ეს საიდუმლო წერილი რატომღაც საჩქაროდ არქივს ჩააბარეს".

სოფია, 26 სექტემბერი. (საკდესი). ჩათლისა და აღჯას პირზე წაყენებამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა აბსურდულ ბრალდებას ბულგარელ მოქალაქეთა წინააღმდეგ — ასეთი დასკვნა გამოაქვს „რაბოტნიჩესკო დელოს" რომის სასამართლო პროცესის კომენტირებისას. აღჯასა და ცალკეულ მომენტებში პროკურორ მარინის გარდა აღარავის უცდია „ბულგარული კვალის" ვერსიის „შემაგრება", აღნიშნავს „ოტეჩესტვენ ფრონტი". ამის ნაცვლად სულ უფრო აშკარად ვლინდება ნეოფაშისტური ორგანიზაციის „რუხი მგლებისა" და მისი სულისჩამდგმელების დანაშაულებრივი საქმიანობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ლიმიტები — ყველაზე ღირსეულთ

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში სერიოზული დისპროპორცია შეიქმნა ექიმთა კადრებით უზრუნველყოფის საქმეში: თუ ქალაქად სამედიცინო დაწესებულებანი ექიმებით დაკომპლექტებულია 95,8 პროცენტით, სოფლად ეს მაჩვენებელი მხოლოდ 81,1 პროცენტს შეადგენს.

ეს ფაქტი დაადასტურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიამ, რომელმაც თავის სხდომაზე განიხილა, პრაქტიკულად როგორ იყენებენ ამ რაიონებში სამედიცინო კადრებს, რომლებიც ლიმიტით გაიგზავნენ სასწავლებლად.

აღინიშნა, რომ შექმნილი სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, 1976 წლიდან მოყოლებული, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ყოველწლიურად გამოიყოფა 70-80 ადგილი მთის რაიონების მკვიდრთა კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის. მაგრამ მთელ რიგ სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოების აღმასკომები არ იცავენ მიღების წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, არ უზრუნველყოფენ ღირსეული ახალგაზრდობის შერჩევას უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნად. მაშინ, როცა მისაღებ გამოცდებში მონაწილეობისათვის ყოველ ადგილზე უნდა შეირჩეს 3-4 კაცი, სამხრეთ ოსეთიდან, მაგალითად, ხუთ ადგილზე გაიგზავნა მხოლოდ ხუთი აბიტურიენტი, ყაზბეგის რაიონიდან სამ ადგილზე — სამი, მესტიიდან ერთზე — ერთი. უფრო მეტიც, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, დმანისისა და დუშეთის რაიონებს უმაღლეს სასწავლებელში არც ერთი კაცი არ გაუგზავნიათ. დაბალი მომზადების დონე აქვთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებსაც ლიმიტით გზავნიან სამედიცინო ინსტიტუტში მაღალი მთის რაიონებიდან. ამის გამო ბევრი მათგანი თავს ვერ ართმევს საგამოცდო პროგრამას.

მიღებულ დადგენილებაში კომისიამ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და რესპუბლიკის მაღალი მთის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საქმიანობა სამედიცინო ინსტიტუტში კონკურსგარეშე, ლიმიტით ჩასარიცხი ახალგაზრდობის შერჩევის, სწავლების, განაწილებისა და ადგილზე დამკვიდრებისათვის.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ მ. ხანანაშვილმა. (საქინფორმი).

საზოგადოებათმცოდნეთა სემინარი

25 სექტემბერს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების II სემინარმა. სემინარი მოაწყვეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ.

სემინარის გახსნაზე გამოსულმა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მთავარი სამმართველოს უფროსმა გ. კვასოვმა აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა საზოგადოებათმცოდნეების შეხვედრებს, რასაც ორი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი ბულგარეთში, დიდი წვლილი შეაქვს სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სკოლების ნაყოფიერ თანამშრომლობაში, საზოგადოებათმცოდნეთა იდეოლოგიური ერთიანობის შემდგომ განმტკიცებაში.

ბულგარეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული უმაღლესი განათლების საბჭოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების უფროსმა ხ. ნიკოლოვმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა, რომ სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი პროცესების სირთულე და დინამიზმი თანამედროვე ეტაპზე, იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავება საერთაშორისო ასპარეზზე უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიური პროცესის მკვეთრ სრულყოფას მოითხოვს.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ სემინარის მოწყობის ადგილად შემთხვევით როდი იქნა არჩეული საბჭოთა საქართველო. რესპუბლიკაში შექმნილია მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის მართვის სახელმწიფო სისტემის შემუშავებაში.

სემინარის მუშაობის ორი დღის მანძილზე მეცნიერები ერთმანეთს გაუზიარებენ მომავალი სპეციალისტების მარქსისტულ-ლენინური განათლების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით მუშაობის გამოცდილებას, განიხილავენ სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მომწიფებულ პრობლემათა გადაჭრის გზებს.

სემინარის მონაწილენი მუშაობას განაგრძობენ ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომპარტიის ისტორიის სექციებში. (საქინფორმი).

რეპლიკის რეპლიკა

ამ ბოლო ხანს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს" ვერ იცნობ, სულ გადახალისდა და შეიცვალა; თემებმა იმატა, უფრო მიმზიდველი გახდა, შესახედავადაც გაუმჯობესდა.

სარედაქციო კოლექტივში ძიება ისეთი „მოტორია", ცხოველ ინტერესს განაცდევინებს მკითხველსაც და გაზეთის „მკეთებელსაც"; სიახლე ჟურნალისტებისათვის მუდმივი საზრდოა. იალაღზე გასულ ხარს ჰგავს ჩვენი ახალგაზრდობის გაზეთი — ძლიერია, თავისუფალი და სხარტი...

მაგრამ ძიებისას იქნებ ყველაფერი ვერ გაზომო და ვერ აწონო, შეიძლება შეცდომაც მოგივიდეს. ჟურნალისტურ შეცდომას კი ხშირად დიდი ტკივილი მოსდევს. „დაბეჭდილი სიტყვა" ერთობ ქმედითი ძალაა და, რახან უფლება მოგვცეს, ეს უფლება ახალგაზრდებმაც კი დინჯად, გააზრებულად უნდა გამოიყენონ. ეს ხომ ახალგაზრდობის მასასთან საუბრის, ბჭობის უფლებაა, რომელიც, საბოლოოდ, გაზეთისა და მკითხველის ურთიერთობას აყალიბებს.

ჩვენი აზრით, შეცდომა მოუვიდა რედაქციას, როდესაც ამა წლის 10 სექტემბრის ნომერში რუბრიკით — „პასუხი ნებისმიერ კითხვაზე" დაბეჭდა ყოვლად აბუჩად ამგდები, იუმორისაგან სრულიად დაცლილი, ნებისმიერი ნიჭიერი კოლექტივისათვის ყოვლად შეუფერებელი რეპლიკა.

ზურაბ აკაკის ძე სიხარულიძეს როსტოვიდან რედაქციისათვის გამოუგზავნია სამი ლექსი და წერილი, რომელშიც ითხოვდა, მოგეწონებათ თუ არ მოგეწონებათ ჩემი ლექსები, მიპასუხეთო. ძნელია მიხვედრა, რა ეწყინა რედაქციას, როცა საკუთარი ახალგაზრდა მკითხველის ნასათუთარი ლექსის სტრიქონები, საყვარელ გაზეთში გამოგზავნილი („ახალგაზრდა კომუნისტს" ყოველთვის გულისყურით ვფურცლავო"), ირონიის ბრჭყალებში მოათავსა (ჩვენ წინწკლებს — პუნქტუაციურ ნიშანს ვგულისხმობთ), რათა დაემცირებინა მისი ავტორი.

ვგონებთ, ეს საკადრისი არ უნდა იყოს.

ის მაინც დაეწერა რედაქციას (რეპლიკა ხელმოუწერელია, მაშასადამე, რედაქციისაა), რა უნდა ზურაბ სიხარულიძეს როსტოვში? იქნებ ეს რომანტიკული განწყობილების ჭაბუკი საბჭოთა არმიაშია, სავალდებულო სამხედრო მოვალეობას იხდის და მხედრული სწავლებისაგან თავისუფალ დროს არყის ხის ძირს მიუჯდება, ფიქრობს საქართველოზე და ამ ფიქრებს რითმავს?

ო, რა თავზარდამცემი იქნებოდა მისთვის „ახკომის" 10 სექტემბრის ნომრის გადაფურცვლა!

ჩვენს ახალგაზრდა კოლეგებს მოეხსენებათ, რომ ქედმაღლობა, ზემოდან ცქერა კრიტიკა არ არის. მოეხსენებათ, მაგრამ გახსენება არ ავნებთ, ვინაიდან ზ. სიხარულიძე მარტო არ არის. ზოგიერთი სხვა პუბლიკაციიდანაც მოისმის დატუქსვის ინტონაციები, იგრძნობა მედიდური გაგულისება.

მაგალითად, გეგეჭკორელ მასწავლებელ გალინა ცაავაზე „ახკომში" გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილის (არადა, ორჯერ იყო უღიმღლო მასწავლებელი გაკრიტიკებული) ავტორი აცხადებს: მე რომ მის (ცაავას) ადგილზე ვიყო, თავს დავანებებდი მასწავლებლობასო. სხვათა შორის, როცა ჩვენს რედაქციას ქალბატონი გალინა ცაავა ესტუმრა და მრავალგვერდიანი საჩივარი დაგვიტოვა პედაგოგიური კოლექტივის დადებითი დახასიათებითურთ, თანასოფლელების სინანულის წერილებითურთ, და სხვა მისი გამამართლებელი საბუთებითურთ, მანაც იგივე განაცხადა: მე რომ „ახკომის" იმ წერილის ავტორის ადგილზე ვიყო, ჟურნალისტობას თავს დავანებებდიო.

ჩვენი აზრით, განაწყენებულ მომჩივანს უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა თავისი განცხადებისათვის. ამიტომ ვთხოვთ ჩვენს პატივცემულ ახალგაზრდა კოლეგებს ერთხელ კიდევ გადახედონ საკუთარ პოზიციებს. ადამიანის ღირსების აბუჩად აგდება არავის ეპატიება, მით უმეტეს — ჟურნალისტს...

გვჯერა, ჩვენი მეგობრული დარიგება ისეთივე კეთილი განწყობით აღიქმება, როგორი კეთილი განწყობითაც დაიწერა.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09; პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10; განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-72-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 3-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-32.

მუსიკა და ცხოვრება

მუზები არ დუმდნენ

ომი და მუსიკა! თითქოსდა შეუთავსებელი ცნებებია. ცნობილი ლათინური ანდაზაც ხომ ამბობს, „ომის დროს მუზები დუმანო". სამამულო ომის მრისხანე წლებში კი მუზები არათუ დუმდნენ, პირიქით, მანამდე არნახული ძალით ახმიანდნენ: შეიქმნა დიდძალი მუსიკალური ნაწარმოებები და ჩამოყალიბდა მრავალი ცნობილი მუსიკალური კოლექტივი.

საბჭოთა ინტელიგენცია, მუსიკალური ხელოვნების მუშაკები, ზოგი იარაღით და ზოგი კალმით, მთელი ხალხის მხარდამხარ იბრძოდნენ ფაშისტ ბარბაროსთა წინააღმდეგ. ამ მრისხანე დღეებში არაჩვეულებრივი სიცხადით გამოვლინდა მუსიკის მაორგანიზებელი და შემმართველი ძალა.

საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებში აისახა სამამულო ომის გმირული თემატიკა, ხოლო ისეთი ქმნილებები, როგორიც არის ალექსანდროვის სიმღერა „წმინდა ომი", შოსტაკოვიჩის მეშვიდე „ლენინგრადული" სიმფონია, საბჭოთა ადამიანების უტეხი გმირული სულის სიმბოლოდ იქცნენ!

ყველაზე კრიზისულ მომენტში ხალხს არ დაუკარგავს გამარჯვების რწმენა, არ შეჩერებულა შემოქმედებითი პულსი, არ შეწყვეტილა ზრუნვა კულტურულ ფასეულობათა გადანახვისა და ინტელექტუალური შრომის გამოჩენილი წარმომადგენლების, მუსიკოსების, სახელოვანი კომპოზიტორების, შემსრულებლების დაცვისათვის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის კონსერვატორიების პროფესორები და ზოგჯერ მთელი მუსიკალური კოლექტივებიც კი ევაკუირებულ იქნენ მტრისათვის მიუწვდომელ ადგილებში.

თბილისმაც იმხანად საბჭოთა კულტურის მრავალ სახელოვან წარმომადგენელს მიუჩინა ბინა, გაუწია ღირსეული მეგობრობა და გულითადი მასპინძლობა. 1941 წლის გვიან შემოდგომაზე თბილისში თავი მოიყარა საბჭოთა მსახიობებისა და მუსიკოსების ბრწყინვალე თანავარსკვლავედმა. აქ შეხვდებოდით მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთ დამაარსებელს, განთქმულ რეჟისორს ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, რუსული თეატრის მშვენებას ვ. კაჩალოვს და ო. კნიპერ-ჩეხოვას, საბჭოთა საკომპოზიტორო სკოლის პატრიარქს ნ. მიასკოვსკის, ი. შაპორინს, ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს კომპოზიტორს ს. პროკოფიევს, ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორსა და მრავალი ქართველი კომპოზიტორის აღმზრდელს პ. რიაზანოვს, გამოჩენილ დირიჟორს ა. გაუკს, საბჭოთა პიანისტური სკოლის ფუძემდებლებს ა. გოლდენვეიზერს და კ. იგუმნოვს, ს. ფეინბერგს; ცნობილ მევიოლინეებსა და პედაგოგებს ბ. სიბორსა და ე. გუზიკოვს, კამერული სიმღერის დიდოსტატებს ა. დოლივოსა და ნ. დორლიაკს. თბილისის საოპერო თეატრის დასს შეუერთდა გამოჩენილი მომღერალი, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტი ვ. დავიდოვა, კიევისა და ხარკოვის საოპერო თეატრების შესანიშნავი მომღერალთა ჯგუფი, უკრაინის სახალხო არტისტები — ტენორი კიპორენკო-დომანსკი, სოპრანო გუჟოვა, ბარიტონი გრიშკო, ბანი ჩასტი და სხვები. თბილისში მოსკოვიდან დაბრუნდნენ ჩვენი ცნობილი მომღერლები დ. ბადრიძე, დ. მჭედლიძე, ბ. კრაველიშვილი. საბალეტო დასს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი მოცეკვავე ვ. ჭაბუკიანი. ბუნებრივია, რომ თბილისში ძალზე ინტენსიური და მრავალფეროვანი მუსიკალური ცხოვრება ჩქეფდა.

ქართველი კომპოზიტორების ა. ბალანჩივაძის, შ. მშველიძის, გრ. კილაძის, ახალგაზრდა ავტორების სიმფონიურ შემოქმედებას სისტემატურად უწევენ პროპაგანდას ომამდელ და ომის წლებში დაწინაურებული დირიჟორები: შ. აზმაიფარაშვილი, ო. დიმიტრიადი, გრ. კილაძე, უფრო გვიან — ვ. ფალიაშვილი, ჯ. გოკიელი. ყოველივე ეს მხატვრული შემოქმედების შეუნელებელი პულსაციის მაჩვენებელი იყო.

1942 წელს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მომღერალი ნ. ქუმსიაშვილი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოდიოდა სცენაზე შეუდარებელი ს. ინაშვილი, ჩინებულ არტისტულ ფორმაში იმყოფებოდნენ დ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი, ე. სოხაძე, ე. გოსტენინა, ნ. ხარაძე, მ. ნაკაშიძე, ნ. ცომაია. არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა იმ ხანებში დ. გამრეკელმა, რომელიც 1944 წლიდან დიდ თეატრში იწყებს მუშაობას.

ძალზე შინაარსიანი იყო იმხანად თბილისის საკონცერტო ცხოვრება. თითქმის დღეგამოშვებით იმართებოდა უაღრესად საინტერესო სიმფონიური და კამერული კონცერტები. წარუშლელია მეხსიერებაში ს. პროკოფიევის საავტორო სიმფონიური და კამერული კონცერტები, კ. იგუმნოვის კლავირაბენდები, ვ. კაჩალოვის მიერ გოეთეს „ეგმონტის" შესრულება ბეთჰოვენის უკვდავი მუსიკის თანხლებით, გაუკის დირიჟორობით ბეთჰოვენის მე-9 და შოსტაკოვიჩის მე-5 სიმფონიების შესრულება და ბევრი სხვა.

ამ ხანებში ჩაეყარა საფუძველი მშვენიერ ტრადიციას — ეგრეთ წოდებულ „სიმფონიურ ორშაბათებს", რომლებიც ოპერის თეატრში იმართებოდა და დიდძალ ხალხს იზიდავდა. მათ საინტერესო შესავალი სიტყვებით უძღვებოდა მუსიკათმცოდნე პ. ხუჭუა. 1942 წელს, მტერთან სასტიკი ბრძოლების პერიოდში, საექსპლოატაციოდ გადაეცა კონსერვატორიის დიდი დარბაზი, რომელიც თბილისის მუსიკალურ-საკონცერტო ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა. მრავალ გამოჩენილ მომღერალს გაუხსნა კარი რუსთაველის სახელობის მცირე საკონცერტო დარბაზმაც. აქ იმართებოდა პროკოფიევის და იგუმნოვის, გოლდენვეიზერისა და ფეინბერგის, კაჩალოვისა და დორლიაკის კამერული საღამოები.

საბჭოთა მუსიკის კლასიკოსი, ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორ-ნოვატორი ს. პროკოფიევი თბილისში 1941 წლის ნოემბრიდან 1942 წლის ივნისამდე ცხოვრობდა. აი, რას წერს ამ პერიოდის შესახებ კომპოზიტორის ბიოგრაფი მუსიკათმცოდნე ი. ნესტიევი: სამხრეთის წარმტაცმა ქალაქმა აღტაცებაში მოიყვანა კომპოზიტორი. ინტერესით ათვალიერებდა იგი ახალ შენობებს, მტკვრის სანაპიროს და ბოტანიკურ ბაღს ძველი სასაფლაოს მახლობლად. ომიანობის დროს, სიძნელეების მიუხედავად, მუსიკალური ცხოვრება საქართველოს დედაქალაქში ძალზე ინტენსიური იყო. პროკოფიევი ხშირად ესწრებოდა კონცერტებს, სპექტაკლებს ქართულ დრამატულ და საოპერო თეატრებში. განსაკუთრებით აღაფრთოვანა იგი სპექტაკლმა „ოტელომ" რუსთაველის თეატრში. თბილისში პროკოფიევი განაგრძობდა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას. აქ დაამთავრა საფორტეპიანო შედევრი — VII სონატა და ყველაზე კაპიტალური ქმნილება — ოპერა „ომი და მშვიდობა", თბილისში პროკოფიევმა წარმატებით იდირიჟორა თავის საავტორო სიმფონიურ კონცერტზე და რამდენიმე კლავირაბენდი გამართა. ეს იყო მისი, როგორც პიანისტის, უკანასკნელი გამოსვლები.

მახსოვს, ცნობილ ვიოლინისტ ბ. სიბორთან ერთად პროკოფიევის მიერ შესრულებული სავიოლინო სონატა, ამავე კონცერტზე შეასრულა მან თავისი „წამიერებანი" და საფორტეპიანო პიესა „ჯადო", რომელმაც აღაფრთოვანა მსმენელი.

საზოგადოება მზარდი ყურადღებით ეკიდებოდა თბილისის მუსიკალური ათწლედის მოსწავლეთა საჩვენებელ კონცერტებს. მზრუნველი პედაგოგების ხელმძღვანელობით ნორჩი მუსიკოსები ეუფლებოდნენ საშემსრულებლო ხელოვნების საიდუმლოებებს და ახარებდნენ ჩვენი მუსიკალური კულტურის გულშემატკივრებს. ამ პერიოდში მუსიკალურ ათწლედში სწავლობდნენ საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების მომავალი ლაურეატები — მარინე იაშვილი, დიმიტრი ბაშკიროვი, ლევ ვლასენკო, მარგარიტა ჩხეიძე; ცნობილი პიანისტები თენგიზ ამირეჯიბი, ალექსანდრე ნიჟარაძე, კომპოზიტორები სულხან ცინცაძე, ოთარ გორდელი, ნოდარ გაბუნია, ალექსანდრე ფირუმოვი...

ამ წლებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო საშეფო კონცერტების სიმრავლე. რესპუბლიკის წამყვანი შემოქმედებითი ძალები მხატვრულ მომსახურებას უწევდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებს, სამობილიზაციო პუნქტებს, ჰოსპიტლებს. ხშირად საკონცერტო ბრიგადები გამოდიოდნენ უშუალოდ მოქმედი ჯარის ნაწილებში, ფრონტზე. ამ კონცერტებში მონაწილეთა შორის იყვნენ ქართული მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები დ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი, დ. გამრეკელი, ბ. კრაველიშვილი, დ. მჭედლიძე, მ. ნაკაშიძე, ნ. ხარაძე, მ. ყვარელაშვილი. მათი შესანიშნავი ხელოვნება ჩვენს მეომრებს აღაფრთოვანებდა ახალი გმირობებისათვის. კონცერტებში მონაწილეობდნენ თბილისის კონსერვატორიის მოსწავლეები, სტუდენტები, ცენტრალური მუსიკალური ათწლედის მოსწავლეები.

ამ წლებში შეიქმნა არაერთი საშემსრულებლო კოლექტივიც. 1941 წელს პირველად ჩამოყალიბდა სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი, რომელსაც სათავეში იდგა კომპოზიტორი რ. გაბიჩვაძე.

ძალზე დადებითი როლი შეასრულა 1944 წელს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის ჩამოყალიბებამ. იგი კარგ შემოქმედებით ბაზად იქცა ქართველი კომპოზიტორებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ კვარტეტში უკრავდა ს. ცინცაძე, რომელიც ჩელოს პარტიას ასრულებდა. მომდევნო წლებში კვარტეტმა შეასრულა ცინცაძის ყველა კამერული ნაწარმოები.

1943 წელს თბილისელი მუსიკის მოყვარულები მოწმენი გახდნენ კიდევ ერთი შესანიშნავი მხატვრული მოვლენისა — ჩვენი ქალაქის საკონცერტო ესტრადაზე პირველად გამოვიდა სვიატოსლავ რიხტერი. მანამდე თითქმის უცნობმა პიანისტმა მოაჯადოვა თბილისელები, რომლებიც მის ერთგულ და აღტაცებულ თაყვანისმცემლებად დარჩნენ.

ეს წლები ნაყოფიერი გამოდგა ქართველი კომპოზიტორებისათვის. მძლავრმა პატრიოტულმა აღმავლობამ, რომელმაც მოიცვა მთელი საბჭოთა ხალხი, სამამულო ომის გმირულმა ეპიზოდებმა მათ სხვადასხვა ჟანრის მნიშვნელოვანი ნაწარმოების შექმნა შთააგონეს. შეიძლება ითქვას, რომ სამამულო ომთან არის დაკავშირებული ქართული მუსიკის განვითარების მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელიც აღინიშნა კომპოზიტორთა ახალი, შემოქმედებითად აქტიური თაობის გამოსვლით სამოღვაწეო ასპარეზზე. ამ წლებში იფურჩქნება ახალგაზრდა ალექსი მაჭავარიანის თავისთავადი ნიჭი, პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნეს დ. თორაძემ და ნ. გუდიაშვილმა.

ქართულმა საზოგადოებრიობამ პირველად გაიგონა ახალბედა კომპოზიტორების ო. თაქთაქიშვილის, ა. ჩიმაკაძის, ა. შავერზაშვილის, რ. ლაღიძის, ს. ცინცაძის სახელები. სულ მალე ეს ახალი შემოქმედებითი ძალები ქართული მუსიკის ავანგარდში ჩადგნენ. უფროსი თაობის კომპოზიტორებთან — შ. მშველიძესთან, ა. ბალანჩივაძესთან, გრ. კილაძესთან, ვ. გოკიელთან, ი. ტუსკიასთან ერთად ისინი წარმატებით ეწეოდნენ შემოქმედებითს მუშაობას ქართული მუსიკის სხვადასხვა დარგში.

ბუნებრივია, რომ ამ წლებში ძალზე პოპულარული გახდა პატრიოტული და ისტორიულ-რევოლუციური თემატიკა. ამავე დროს კომპოზიტორები სულ უფრო თამამად მიმართავენ ფსიქოლოგიურ პრობლემატიკასაც.

დიდი მხატვრული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მუსიკის დეკადა, რომელიც თბილისში გაიმართა 1944 წლის დეკემბერში. ამ დეკადის მასშტაბებს ნათლად მოწმობს მონაწილეთა რიცხვი — იგი 800-ს აღწევდა. დეკადა მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის სამ მოძმე რესპუბლიკაში ომის წლებში შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებთა ჩვენებას. აქ აჟღერდა ა. ხაჩატურიანისა და უ. ჰაჯიბეკოვის, ა. ბალანჩივაძისა და შ. მშველიძის, ი. ტუსკიასა და გ. კილაძის ნაწარმოებები.

ომის წლებში შექმნილი ქართული საოპერო ნაწარმოებებიდან უნდა დავასახელოთ ვ. გოკიელის გმირულ-პატრიოტული ოპერა „პატარა კახი" და ა. მაჭავარიანის ოპერა „დედა და შვილი", რომლებიც თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე დაიდგა. საყურადღებო ნაწარმოებები შეიქმნა აგრეთვე საგუნდო და სასიმღერო ჟანრებშიც, მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერად ვითარდებოდა ამ ხანებში სიმფონიური მუსიკა თავისი მრავალი ჟანრული განშტოებით. ქართული მუსიკა მდიდრდება ისეთი ნათელი, საინტერესო და სტილისტურად ღრმად განსხვავებული ნაწარმოებებით, როგორიც არის ა. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია, შ. მშველიძის მეორე სიმფონია, ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი. ამ ნაწარმოებებს დღესაც არ დაუკარგავთ იდეურ-მხატვრული მნიშვნელობა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ა. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია (1944 წ.), რომელიც სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. ეს ნაწარმოები დღემდე ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშია ქართულ და მთელ საბჭოთა მუსიკაში. პირველ სიმფონიაში კომპოზიტორი გამოეხმაურა ომის მრისხანე ამბებს, აღბეჭდა საბჭოთა ადამიანების ფიქრები და განცდები, უმღერა მათ გმირობასა და სულიერ სიმტკიცეს. ბალანჩივაძის სიმფონია ყურადღებას იქცევდა ეროვნული სიმფონიური სტილის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების თამამი ნოვატორული გადაწყვეტით, როგორიც არის მუსიკალური ენა და სიმფონიური დრამატურგია. კომპოზიტორი იდგას ეროვნული მუსიკალური სტილის პოზიციებზე და ამავე დროს ამდიდრებს მას კლასიკური და საბჭოთა სიმფონიზმის ტრადიციებით, პირველ სიმფონიაში ნათლად გამოვლინდა ავტორის დახვეწილი მხატვრული გემოვნება, მუსიკალური თხრობის უშუალობა და რომანტიკული ამაღლებულობა.

სამამულო ომის წლებში სიმფონიური მუსიკის წარმატებები დაკავშირებულია გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის შ. მშველიძის სახელთან. როგორც ცნობილია, მან ჯერ კიდევ სამამულო ომამდე შექმნა შესანიშნავი სიმფონიური პოემა „ზვიადაური", რომელიც დღესაც ქართული სიმფონიზმის ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ ნიმუშად ითვლება. ომის წლებში კომპოზიტორმა პირველად მიმართა სიმფონიის ჟანრს და შექმნა მისი ორი ნიმუში. ინტერესს იმსახურებს 1944 წელს დაწერილი მეორე სიმფონია, რომელსაც ავტორმა „სიხარულისა და გამარჯვების სიმფონია" უწოდა. ეს ნაწარმოები წარმოადგენდა კლასიკური სიმფონიური ფორმის ათვისების ერთ-ერთ პირველ ცდას ჩვენს მუსიკაში. თავისი საერთო ხასიათით სიმფონია ჟანრულ-ეპიკურია და გამსჭვალულია მხნე, გმირული და საზეიმო განწყობილებით.

40-იან წლებში ყალიბდება გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ა. მაჭავარიანის ნათელი შემოქმედება. მან ზედიზედ შექმნა ნაწარმოებები, რომლებმაც ავტორს ფართო პოპულარობა და მაღალი შემოქმედებითი ავტორიტეტი მოუპოვა. მაჭავარიანის შემოქმედების საუკეთესო ფურცლებისათვის დამახასიათებელია მხურვალე ემოციურობა, რომანტიკული ექსპრესია, ვაჟკაცური და ამავე დროს ნაზი პოეტური სახეების შეხამება. ყოველივე ეს თავს იჩენს მის პირველ დიდტანიან კომპოზიციაში — საფორტეპიანო კონცერტში, რომელიც 1944 წელს შექმნა. ეს კონცერტი ამ ჟანრის ერთ-ერთი პირველი საყურადღებო ნიმუშია ქართულ მუსიკაში. აქ კომპოზიტორი წარმოგვიდგა როგორც ნათლად გამოკვეთილი შემოქმედებითი სახის ხელოვანი.

ამ წლებში შექმნილ ნაწარმოებთა შორის არის აგრეთვე ნ. ნარიმანიძის ორატორია „გაცილება საბჭოთა არმიაში", შ. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო ტრიო, ნ. გუდიაშვილის კანტატა „კავკასიონი".

საყურადღებო ნაწარმოებები შეიქმნა კამერულ-ვოკალურ ჟანრშიც: ნაყოფიერად მუშაობდა კომპოზიტორი ი. ტუსკია, რომელმაც დაწერა სიმღერებისა და რომანსების წყება: „წერილი მებრძოლთა" (ვაჟას ტექსტზე), „სიმღერა კაპიტან ბუხაიძეზე" (ირ. აბაშიძის ლექსზე), „სამშობლოსათვის" (ს. ჩიქოვანის ლექსზე), „პატარა ბარათი" (რ. მარგიანის ლექსზე), საგუნდო სიმღერა „დიდება გმირებს". საინტერესო იყო ამ უკანასკნელის შექმნის ისტორია. 1943 წლის ბოლოს, როცა სამამულო ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა დახურული კონკურსი საბჭოთა კავშირის ჰიმნის შექმნაზე, რომელშიც რამდენიმე ათეულმა კომპოზიტორმა, მათ შორის ტუსკიამაც მიიღო მონაწილეობა. სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც გამოჩენილ მუსიკოსებთან ერთად პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები შედიოდნენ ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით, კონკურსის უკანასკნელი ტურისათვის შესარჩევად დატოვა რამდენიმე ნაწარმოები და მათ შორის ტუსკიას ჰიმნი. კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ტუსკიას ჰიმნს და ერთხანს თითქოს მასზე შეჩერდა კიდეც არჩევანი. მაგრამ, საბოლოოდ, ჰიმნისათვის უფრო მიზანშეწონილად მიიჩნიეს ალექსანდროვის ცნობილი საგუნდო სიმღერა. ასე თუ ისე, ქართველი კომპოზიტორის მონაწილეობა ამ დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებაში, ნაწარმოების მაღალი შეფასება ესოდენ ავტორიტეტული კომისიისაგან, ტუსკიას შემოქმედებით გამარჯვებაზე მეტყველებდა. კომპოზიტორს მიანიჭეს სპეციალური პრემია. მალე ტუსკიას ნაწარმოები ახალი სათაურით — „დიდება გმირებს" ს. მიხალკოვის ახალ ტექსტზე გამოიცა მოსკოვში და არაერთგზის შესრულებულა კონცერტებში და რადიოთი.

წარმატება ხვდა აგრეთვე ირ. აბაშიძის ცნობილი ლექსის მიხედვით შექმნილ სიმღერას „კაპიტანი ბუხაიძე". სახელოვანი ქართველი მეომრისადმი მიძღვნილი ნაწარმოები კომპოზიტორმა ვოკალური ბალადის ფორმით განასახიერა, რაც სავსებით შეესატყვისებოდა თემის სპეციფიკას.

ამ წლებში შექმნილი კამერულ-ვოკალური ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ალექსი მაჭავარიანის შთაგონებული რომანსი „არ დაიდარდო, დედაო" გიორგი ლეონიძის ტექსტზე: პატრიოტული თემა კომპოზიტორს დრამატიზებული ლირიკის ასპექტით აქვს გადაწყვეტილი. რომანსი გვხიბლავს ხალასი ექსპრესიით, ტრაგიკული გამომსახველობით.

სამამულო ომის წლებში ქართული მუსიკისა და თბილისის საკონცერტო მუსიკალური ცხოვრების უმთავრესი ფაქტები, რომლებიც შევიდა ჩვენი ხალხის კულტურის მატიანეში, მკაფიოდ მოწმობს, რომ ძნელბედობის მიუხედავად, რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრება ძალზე ინტენსიური და შინაარსიანი იყო.

გულბათ ტორაძე.

ნატვრის აცხადება

ბედნიერებაა დიდ ხელოვანთან შეხვედრა. ეს ბედნიერება ორმაგია, თუ იმ პიროვნებასთან მრავალი წლის მეგობრობა გაკავშირებდა და ახლა ყოველივე ერთბაშად ცოცხლდება.

ასეთი გრძნობა დამეუფლა, როდესაც ამ დღეებში, სიამოვნებით ვნახე ცენტრალური ტელევიზიის პროგრამით ნაჩვენები ოთხსერიიანი დოკუმენტური ფილმი „არამ ხაჩატურიანი — ხელოვანი და მოქალაქე".

ძალზე საინტერესო, ამაღელვებელი ფილმია.

მადლობის მეტი რა გვეთქმის სომეხი კინემატოგრაფისტების, ტელევიზიის მუშაკების მიმართ, რომლებიც ყოველნაირად ცდილან უმრავი დოკუმენტური მასალის მოშველიებით ხელშესახები გაეხადათ მაყურებლებისათვის გამოჩენილი კომპოზიტორის სახე, შემოქმედება, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

არამ ხაჩატურიანს ფასდაუდებელი ღვაწლის აღმნიშვნელი ბევრი წოდება და რეგალიები ჰქონდა, მაგრამ თავისი ხალხის ღვიძლ შვილს, რომელიც ხშირად ამბობდა, ჩემი შემოქმედების ფესვები საქართველოდან მოდისო, არანაკლებ ეამაყებოდა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

ფილმი უპირველესად იმით გვიზიდავს, რომ მასში ჭარბად შევიდა ხაჩატურიანის განუმეორებელი მუსიკა, თითქმის ყველა მისი ცნობილი ნაწარმოები აჟღერდა ტელეეკრანზე. თუ არ ვცდები არც ერთ გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორს არ მიძღვნია ასეთი მასშტაბური კინოდოკუმენტური ნაწარმოები და სომეხი მეგობრების პატივისცემა სათაყვანო ადამიანისადმი ამითაც მისაბაძია.

ფილმში ცოცხლდება კომპოზიტორის საგასტროლო მოგზაურობანი მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე, მისი შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, უბრალო მშრომელებთან და ამით ცოცხლდება პიროვნება — ინტერნაციონალისტი, კაცთმოყვარე, იძერწება პორტრეტი დაუდგრომელი შემოქმედისა.

ვინ იცის, რამდენჯერ ყოფილა არამ ხაჩატურიანი საქართველოში, თბილისში საავტორო კონცერტებით თუ ისე, უბრალოდ, აქაურობას მონატრებული. აქაურობას რომ ენატრება! და თითქოს ამ ფილმით ნატვრა აგვიცხადდა, გაცოცხლდა დიდი ხელოვანი და მოქალაქე.

შოთა მილორავა,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

საგამოფენო დარბაზებში

ფერთა ზეიმი

ვისაც საოცრად ხატოვანი, ნაირფერი და ეროვნული ორნამენტებით დამშვენებული ხალიჩების, ფიჩვებისა და გობელენების ნახვა სურს, თბილისის მხატვრის სახლს უნდა ეწვიოს, სადაც ასამდე ოსტატის საუკეთესო ნახელავია ექსპონირებული.

მნახველი თავადვე დარწმუნდება, თუ რა ჩინებულმა მხატვრულ-კომპოზიციურმა ღირსებებმა მოუპოვა ამგვარი აღიარება ქართულ ხალიჩებს, ფიჩვებსა და გობელენებს თბილისსა თუ მოსკოვში, ლენინგრადსა თუ მოძმე რესპუბლიკათა დედაქალაქებში გამართულ კონკურსებზე, ასევე საფრანგეთის, ინგლისის, თურქეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ სხვა ქვეყნების გამოფენებზე. მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული ხელოვნების მოყვარულნი სხვა საიდუმლოსაც იოლად ჩახვდებიან, კერძოდ, არამც და არამც არ გაუჭირდებათ იმის გამოცნობა, რომ ამ დარგს ქართული სოფლის მდიდარი ტრადიციები — ქსოვის უნატიფესი კულტურა, კომპოზიციის დახვეწილი გრძნობა, ფერადი საქსოვი ძაფების დიდოსტატური შერჩევა, მათი ჰარმონია და ორკესტრაცია, სიუჟეტის ლირიზმი და, რაც მთავარია, ქართული პოეზიის უკვდავი სული ასაზრდოებს.

დროთა განმავლობაში ეს ხელსაქმე დავიწყებას მიეცა, მაგრამ თავის დროზე სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ა. ქუთათელაძის თაოსნობით კვლავ აღორძინდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და ეროვნულ ტრადიციებს დაეყრდნო.

დღემდე 300-მდე ამ დარგის ოსტატი აღიზარდა აკადემიის კედლებში და ბევრი მათგანი მოძმე რესპუბლიკებშიც მუშაობს და იღვწის მისი განვითარებისათვის.

აი რა თქვა ერთხელ ამის თაობაზე ლადო გუდიაშვილმა: „ჩვენში უწინ, ქალიშვილი შეეძინებოდათ თუ არა, მშობლები მატყლის შერჩევასა და დაგროვებას იწყებდნენ. მერე სათანადოდ ამუშავებდნენ, პიგმენტებს აძლევდნენ და ზოგჯერ სამზითვო ხალიჩის, ფიჩვისა თუ გობელენის ქსოვა წლობით გრძელდებოდა. ყოფილა შემთხვევა, ქორწინებაც რომ გადადებულა ამის გამო".

დღეს ეს დარგი, მართლაც რომ, აღორძინების გზაზეა და ქართული გობელენები ამშვენებენ თბილისის, ლენინგრადის, მოსკოვის, აგრეთვე უცხოეთის ქვეყნების კულტურის დაწესებულებებს, სასტუმროებსა თუ კერძო კოლექციებს.

ჩვენ განგებ არაფერს ვამბობთ გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევართა თემატიკაზე, არც ცალკეულ ავტორებს ვასახელებთ. მნახველი თავადვე განსჯის მის ღირსება-ნაკლოვანებებს. საერთო შეფასებისათვის კი ჩვენი ეპოქის უდიდესი მხატვრის პაბლო პიკასოს სიტყვებს მოვიშველიებთ: „ქართული გობელენი ცეკვის ჯადოქრების — ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ცეკვას მაგონებს..."

ს. ნაციაშვილი.

სურათზე: მ. ხალვაშის გობელენი „ბედნიერი ბავშვობა".

ჭადრაკი

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

მატჩის მესამედის დასასრულს

კარპოვ-კასპაროვის მერვე პარტია გადადებული იყო ასეთ პოზიციაში: კარპოვი (თეთრები) — მფh2, ეh4. პპ. a4, g4 (4), კასპაროვი (შავები) — მფe6, ეa3, პ. g5 (3).

მიმომხილველების აზრით, პარტია ყაიმით დამთავრდებოდა. კარპოვი, თავდაპირველად, მაინც არ დათანხმდა ზავზე და მეფით ლაზიერის ფრთაზე გადასვლას შეეცადა. პრეტენდენტმა არ დაუშვა მეტოქის ძალების გააქტიურება და მას შემდეგ, რაც კარპოვს მოგებაზე თამაშის უკანასკნელი საშუალებაც გადაეწურა, იძულებული გახდა ყაიმს დასჯერებოდა.

პარტია ამგვარად დამთავრდა: 41... მფe5 კასპაროვის მიერ ჩაწერილი სვლა). 42. მფg2 ეa2+ 43. მფf3 ეa3+ 44. მფe2 ეg3 45. მფd2 ეg2+ 46. მფe3 ეg3+ 47. მფe2 ეa3 48. მფd2 ეg3 49. ეc4 მფd5 ყაიმი.

ამრიგად, ანგარიში გახდა 4,5:3,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. გუშინ გაიმართა მეცხრე პარტია. შეხვედრა გადაიდო და მისი დამთავრება დღეს მოეწყობა.

გ. გამრეკელი.

ცნობილია თერთმეტი ფინალისტი

სსრ კავშირისა და დანიის ფეხბურთელთა შესარჩევი მატჩის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე დანიელთა უფროსმა მწვრთნელმა ზ. პიონტეკმა განაცხადა: „საბჭოთა ნაკრები დღეს ჩვენზე ძლიერი გახლავთ და, ცხადია, კანონზომიერი გამარჯვებაც მოიპოვა. ჩვენ ვიცოდით, რომ თქვენი გუნდი ვალდებული იყო გაემარჯვა, და როგორც ხედავთ, შეძლო კიდეც. ახლა, როცა ევროპის მეექვსე შესარჩევ ჯგუფში ოთხ გუნდს აქტივში 6-6 ქულა აქვს, შეიძლება ითქვას, რომ მექსიკის საგზურებისათვის ბრძოლა თავიდან იწყება". საბჭოთა ფეხბურთელები მორიგ მატჩებში უმასპინძლებენ ირლანდიელებს (16 ოქტომბერს) და ნორვეგიელებს (30 ოქტომბერს).

მეექვსეს გარდა, კიდევ რამდენიმე ჯგუფში გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს:

მეორე ჯგუფი. შვეცია-გფრ — 2:2, ჩეხოსლოვაკია-პორტუგალია — 1:0. გფრ-ის ნაკრებმა 2 ტურით ადრე გაინაღდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეჯიბრებაში ასპარეზობის უფლება.

მესამე ჯგუფი. ფინეთი-თურქეთი—1:0. ამ ჯგუფში 9 ქულით ლიდერობენ ინგლისელები (12 შესაძლებლიდან). მეორე ადგილზე არიან ფინელები — 8 ქულა (16-დან), მესამეზე — რუმინელები 7 (12-დან), მეოთხეზე — ჩრდილოეთირლანდიელები — 7 (12-დან), მეხუთეზე — თურქები — 1 (12-დან).

მეოთხე ჯგუფი. ლუქსემბურგ-ბულგარეთი — 1:3. ამ გამარჯვებით ბულგარელებმა ფინალისაკენ გაიკაფეს გზა.

მეშვიდე ჯგუფი. ესპანეთი-ისლანდია — 2:1. ამ გამარჯვებით ესპანელებმაც ფინალურ შეჯიბრებაში თამაშის უფლება მოიპოვეს.

როგორც ცნობილია, ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობის ფინალურ ტურნირში, რომელიც მექსიკაში გაიმართება, 24 ნაკრები იასპარეზებს. მათგან თერთმეტის ვინაობა უკვე ცნობილია: **მექსიკა, იტალია, არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, კანადა, უნგრეთი, პოლონეთი, ესპანეთი, ბულგარეთი და გფრ.**

სპორტული ორბიტა

კალათბურთი. თბილისსა და კუიბიშევში გრძელდება ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპი. გთავაზობთ კუიბიშევის ტურის მეორე დღის მატჩების შედეგებს: კაუნასის „ჟალგირისი"-ვილნიუსის „სტატიბა" —77:76, კუიბიშევის „სტროიტელი"-კიევის სკა — 81:78. კიევის „სტროიტელი"- რიგის ვეფ — 77:79. თბილისში გუშინ გამართული შეხვედრები კი ასე დამთავრდა: ტაშკენტის „უნივერსიტეტი"-მინსკის რტი — 69:83, მოსკოვის „დინამო"-ლენინგრადის „სპარტაკი"—96:78, ცსკა-თბილისის „დინამო" — 84:82.

კრივი. ერევანში დასასრულს მიუახლოვდა საკავშირო ჩემპიონატი, რომლის ფინალისტთა შორის გავიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ალბერტ კაზანჯიანი (54 კგ-მდე წონითი კატეგორია). ფინალური ორთაბრძოლები დღეს გაიმართება და გადამწყვეტ შეხვედრაში კაზანჯიანის მეტოქე იქნება ვ. შულეპკო (რსფსრ).

ჭადრაკი. ქალაქ სოჭში დამთავრებულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა დიდოსტატმა სვეშნიკოვმა, რომელმაც 9,5 ქულა დააგროვა. მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს დიდოსტატმა ფსახისმა, ოსტატებმა ბარლოვმა (იუგოსლავია) და ეინგორნმა — 9-9 ქულა.

აფროსნობა. სევასტოპოლში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე „ვარსკვლავის" კლასში მოასპარეზეთა შორის 4 რბოლის შემდეგ დაწინაურდა ა. ვოლმერი (ესტონეთი). შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე არიან ვ. სოლოვიოვი (ლენინგრადი) და გ. ბიგანიშვილი (საქართველო).

საჭადრაკო კომპოზიცია. მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა სსრ კავშირის მეთორმეტე გუნდური პირველობა. ჩემპიონატში მონაწილე მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივებიდან პირველობა მოიპოვა რუსეთის ფედერაციის გუნდმა — 125 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე უკრაინისა (113,5) და მოსკოვის (105,5) წარმომადგენლები არიან. ამ შეჯიბრებაში საპატიო — მეოთხე ადგილი დაიკავა საქართველოს ნაკრებმა (95,5 ქულა), რომლის ღირსებასაც გია ნადარეიშვილი (ხელმძღვანელი), იოსებ კრიხელი, დავით გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, ვაჟა ნეიძე (კაპიტანი), რევაზ თავარიანი, ოთარ ტაბიძე, სერგილ სუხიტაშვილი და იური აკობია იცავდნენ.

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

● **ესტრადის** მსახიობებს თავიანთ შემოქმედებაში დღევანდელი სინამდვილის საჭირბოროტო პრობლემების წამოჭრა რომ ძალუძთ, ამაში კიდევ ერთხელ დაარწმუნეს მაყურებელი საესტრადო კოლექტივების I რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის მონაწილეებმა. კონკურსი ახალციხეში მოაწყვეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ საესტრადო ხელოვნების განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. ჟიურიმ შეაჯამა კონკურსის შედეგები. პირველი პრიზი არავის რგებია. მეორე ადგილი გაინაწილეს ანსამბლებმა „ფაზისმა" (ქუთაისი) და „ინტეგრალმა" (ბათუმი). მესამე ადგილი დაიკავა თბილისის ჯგუფმა „ელადოსმა".

● **ფერწერის,** გრაფიკის, ქანდაკების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ასზე მეტი ნაწარმოებია წარმოდგენილი აჭარის საჭრეთლისა და ფუნჯის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენაზე, რომელიც თბილისის მხატვრის სახლში მოეწყო. ამ ექსპოზიციის მონაწილეთა შორის არიან გამოცდილი ოსტატები—საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრები ხ. ინაიშვილი, შ. ხოლუაშვილი და სხვები, აგრეთვე ახალგაზრდა მხატვრები.

● **სახვითი** ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული გახდა საერთაშორისო ბიენალე, რომელიც უნგრეთის ქალაქ ჰაიდუბესში გაიმართა. ერთი თვის განმავლობაში აქ ერთად მუშაობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მხატვრები. მრავალი ნაწარმოები იყო წარმოდგენილი დასკვნით გამოფენაზე, რომელიც გულთბილად მიიღო უნგრეთის საზოგადოებრიობამ. ბიენალეს მონაწილეთა შორის იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილნიც. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ქართველ მხატვარს ომარ ჩუბინიძეს. მან კარელ მიკლოშის სახელობის მედალი და სპეციალური დიპლომი დაიმსახურა.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

27 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00—„ერემია". 9.35 — საკონცერტო დარბაზში მოსწავლეები არიან. 10.15—დოკუმენტური ფილმები ტურიზმის მსოფლიო დღის გამო. 11.00 — „მოცარტი". II სერია. 12.25 და 15.30—ახალი ამბები. 15.50—დოკუმენტური ფილმები. 16.40 — რუსული მეტყველება. 17.15 — გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ. 18.10 — დოკუმენტური ტელეფილმი „დროთა კავშირი". 19.00 — ჩვენ ვხატავთ და ვმღერით. 19.15 — „მეცნიერება და ცხოვრება". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.05 — თანამეგობრობა. 20.35 — ახალი ამბები. 20.45 — საერთაშორისო ფოლკლორული დღესასწაული „ზაფხული კოლომენსკში". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „მოცარტი". III სერია. 0.05 დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 21.45 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.05 და 13.45 — ინგლისური ენა. 16.00 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — მუსიკალური გადაცემა „ჩილეს ზარები". 19.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ბუნების საიდუმლოებანი". 20.10 — „შექმნილ გარემოებათა გამო..." და „ბედნიერების სამი ნახევარი". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — „აქტუალურ თემებზე: სახალხო მოხმარების საქონელი, მომსახურების სფერო". 22.00 — „ვრემია". 22.35 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კრივში. ფინალი. 23.55 — ახალი ამბები.

თბილისი

27 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები „ცვლილებათა ბუნება". და „ოქროს ტარო". 10.55 — მხატვრული ფილმი „ფანტაზია სიყვარულის თემაზე". 12.10 დოკუმენტური ფილმი „სიყვარულის სიმღერა". 13.05 — ქართული მხატვრული ფილმი „კეთილი ადამიანები". 14.30 — დოკუმენტური ფილმი „გუბკინის მიწა". 15.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შემოდგომის გზა დელისაკენ". 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.30 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 16.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გარგანტუა და პანტაგრუელი". 17.30 — განცხადებები. 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიგლინება". 18.05 — საქართველოს პირველობა ფეხბურთში. 18.35 — მოსწავლეთათვის — „მუსიკის მოყვარულთა კლუბი" (გადაცემას უძღვება საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ჯ. კახიძე). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — ცეროდენას ეკრანი. 20.50 — კინონარკვევი. 21.05 — გახსენება — ნოდარ დუმბაძე. 21.50 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 21.55 — ახალგაზრდობისათვის სტუდენტური რთველი-85. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ქართული კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „ორი მეგობარი". 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — ჩვენს დიად სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მირნი—ქალაქი კარპატებთან". 17.25 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.40 — მხატვრული ფილმი „26 დღე დოსტოევსკის ცხოვრებიდან. (ა. სოლონიცინი, ე. სიმონოვა).

რედაქტორი
ვ. ბედინეიშვილი.